

# მ წ უ ე მ ს ი

რ უ ი ც ი ა ლ უ რ ი ნ ა წ ი ლ ი .

საქართველო - იმერეთის სინოდის კანტორის  
განკარგულშობა.

საქართველო - იმერეთის	სასინოდო კანტორის
დადგენილობა	17 მაისი
რეკულ მოწმობათა	18 ივლისიდან

1891 წლის, მეტ-

საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორისაგან მთხოვნელთ ეძლევათ მეტრიკული მოწმობები და სხვა საბუთები, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში ეგზავნებათ მთხოვნელთ მაზრის უფროსების შემწეობით, რომელნიც თავის მხრით აღნიშნულს საბუთებს უგზავნიან ხოლმე სოფლის მამასახლისებს გარდასაცემად კუთვნილები სამებრ. ეს მამასახლისები, როგორც სასინოდო კანტორამ შეიტყო, თითოეული გარდასაცემ საბუთზე ართმევენ მთხოვნელთ 1 მანეთიდან 3 მანეთამდე, და უცხადებენ მათ, რომ ეს ფულები იხარჯება სასარგებლოდ ფოსტისა და სასინოდო კანტორისა. სინოდის კანტორა კი ამისთანა მოთხოვნილებას არ აცხადებს იმ მიწერილობაში, რომელთაც უგზავნის მაზრის უფროსებს საბუთებთან ერთად მთხოვნელთადმი გადასაცემად, არამედ სთხოვს მათ, რომ მთხოვნელთ ხელწერილი ჩამოართვან საბუთების მიღების შესახებ და ეს ხელწერილი გამოგზავნონ კანტორაში. 2) სასინოდო კანტორას შეტყობილი აქვს, რომ ქუთაისის სააზნაურო დეპუტატთა კრებას მინდობილი აქვს გაარჩიოს, სხვათა შორის, უფლება სამეგრელოს თავად-აზნაურთაც. ამ აზნაურებს გამოცხადებული აქვსთ წარადგინონ სხვა საბუთებთან ერთად, მათ აზნაურობის დირსების დასამტკიცებლად, მეტრიკული მოწმობები დაბადების და მონათვლის შესახებ იმ პირთა, რომელნიც დაბადებულნი არიან იმ დროს, როცა შემოდებული იყო მე-

ტრიკები სამეგრელოში, და აღმოწერილობანი აღსარების სიებიდან მათი ოჯახის შესახებ იმ წლებისა, როცა მეტრიკები არ იყო და უოველივე ეს უნდა მოხდეს ხუთი წლის განმავლობაში, ივლისიდან 1890 წლისა, სამეგრელოში ირიცხება ათი ათასამდე თავად-აზნაურნი, რომელთა ოჯახი ხშირად ითვლება ათი და ხან უმეტესი სულისაგან მამრის სქესისა, რომელთაც არა აქვსთ მეტრიკული მოწმობები. სასინოდო კანტორის იმერეთის განყოფილებაში მეორე სტოლზე, რომელსაც მინდობილი აქვს მთხოვნელთადმი მეტრიკული მოწმობების მიცემა და სხვა საბუთებისა ქუთაისის გუბერნიაში (დასავლეთი საქართველო), ასეთი საბუთები ეძლევათ არა მარტო აზნაურებს, არამედ იმავე გუბერნიის სხვა წოდების პირთაც. აქედან უკვლასათვის ცხადია, რომ რა შრომა მოეწიოს სასინოდო კანტორას, რომ დროით შეასრულოს უველა მთხოვნელთა სურვილი, განსაკუთრებით სამეგრელოს თავად-აზნაურთა ასე მოკლე ვადაში, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში მეტრიკებში არ არის აღნიშნულნი მთხოვნელთა დაბადება და მონათვლა, დღიდან მეტრიკების შემოდებისა, ანუ იმის გამო, რომ მთხოვნელნი სისწორით არ არიან ჩაწერილნი. ამისთანა გასაჭირის დროს სამეგრელოს თავად-აზნაურთა დასახმარებლად, როგორც სასინოდო კანტორამ შეიტყო, გამოჩნდენ ვილცა ვეკილები, რომელნიც ჰკრებენ ფულებს იმ პირთაგან, რომელთაც ჰსურსთ მიიღონ სასინოდო კანტორისაგან საჭირო საბუთები მათ შთამომავლობის შესახებ და მასთან ჰპირდებიან, რომ ძალიან მოკლე დროში უშოვიან მათ აღნიშნულს საბუთებს, წარსადგენად აზნაურთა დეპუტატების კრებაში. ეს მტკიცდება საქმიანაც. სინოდის კანტორაში მოდიან პირნი, რომელთაც აქვსთ რამოდენიმე ვეკილობა სხვა და სხვა პირთაგან,

ზოგს ერთი საზოგადო ვეკილობა ერთი გვარეულობის პირთაგან, მათ შემოაქვთ რამოდენიმე თხოვნა და ითხოვენ, რომ მალე მიეცესთ მათ საბუთები და არ უნდათ მიიღონ სახეში, რომ ასეთი თხოვნების დაკმაყოფილება უნდა მოხდეს რიგით.

სასინოდო კანტორამ საჭიროდ სცნო დაბეჭდოს ამის შესახებ „საქართველოს საეკლესიო-საღვთისმეტყველო უწყებ“-ში, საცნობილო ადგილობრით მთავრობათა და ზომის სახმარებლად რათა მოსპობილ იქმნეს ადვილი ბორჯუ-მოქმედებანი.

სინოდის კანტორის მდიანის თანამდებობის აღმასრულებელი კავანკელიძე.

## ი ს უ ი ლ ე ზ ი ა ნ

დეკანოზი დავით დამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, ცენტრალურ და ბ. ხიდიკელის წიგნების მალაზიებში, ქუთაისში — „მწყემსი“-ს რედაქციის სტამბაში და მმ. შილაძეების და წერეთლის წიგნების მალაზიებში და უფროსად — თვით გამომცემელთან.

- 1) დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე, რომელიც უწყობდა სინოდის საგან მოწონებულთა როგორც სასწავლო სადმართო სჯულისა საეკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში — ფასი . . . . . 30 გ.
- 2) იგივე დარიგება საღვთო სჯულის სწავლაზე რუსულს და ქართულს ენაზე . . . . . 50 გ.
- 3) საქართველოს სამკლესიო ისტორია ფასი უდით . . . . . 45 გ.
- 4) ქართული ლოცვანი, თვეთა მეტყველებით, ქორიკონით და მართლმადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღესასწაულების მოთხრობით. — ფასი . . . . . 30 —
- 5) ახალი კარაბაღინი, რომელიც განხილული და ნება-დართულია კავკასიის საეკლესიო რევიისაგან. — ფასი . . . . . 1 მან.
- 6) მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი — ფასი უდით . . . . . 30 გ.

- 7) ახალი სასულირო კონსისტორიათა წესდებულება. — ფასი უდით . . . . . 40 გ.
- 8) მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართველთა განმანათლებელი, — ფასი . . . . . 25 —
- 9) გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მფხის დავით აღმაშენებლისა. — ფასი . . . . . 25 —
- 10) წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი. — ფასი . . . . . 5 —
- 11) წმიდანი მღვდელ-მთავარი: ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და ირანე მკრპირი, სუჭათებით — ფასი . . . . . 5 —
- 12) მიქაია უფლისა, სურათით. — ფასი . . . . . 2 —
- 13) დიდ-მარხვის წინ, სურათით. — ფასი . . . . . 2 —
- 14) ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა სურათით — ფასი . . . . . 2 —
- 15) გზობა სურათით — ფასი . . . . . 2 —
- 16) აღდგომა სურათით — ფასი . . . . . 2 —
- 17) კონსტანტინე პილატოს მშობლის წმიდანი თავის მშობარ ქალთან . . . . . 5 —
- 18) მფხ სოლომონ-ბრძენი სურათით — ფ. . . . . 5 —
- 19) ცხოვრების აღწერა წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა . . . . . 2 —
- 20) წმიდა ნინო ქართველთ-განმანათლებელი . . . . . 2 —
- 21) შილაძეების მონასტერი და წმ. მწიგნობრების აღწერა დროისა მამისა ჩვენისა შილაძის სურათით — ფასი . . . . . — 5
- 22) მიძინება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა, სურათით — ფასი . . . . . 2 — გ.
- 23) ამაღლება პატიოსნისა და ცხოველ-მყოფელისა ჯვრისა უფლისა სურათით . . . . . 2 —
- 24) ღვთის-მშობლის დაბადება — სურათით . . . . . 2 —
- 25) ტაძრად მიჰყვანება ღვთის-მშობლისა . . . . . 2 —
- 26) მსთერი სურათით. — ფასი . . . . . 5 —
- 27) წმ. მოწამე რაჭდენი — სურათით ფასი . . . . . 5 —
- 28) ისრაჲლისა ზირაჲისა სურათით . . . . . 5 —
- 29) დაწყებითი გაკვეთილები საღვთო სჯულის სწავლებაზე ფასი . . . . . 15 —

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოაქვს ან ნაკლებ ერთი თუმცისა, მას მანეთზე დაეთმობა 15 გ. ვინც 2 გ. წიგნაკებს დაიბარებს ან ნაკლებ ასი წაღვისა, ის ფასტით გასაგზავნის ან ის დის.

„მწყემსის“ რედაქცია უკვე შეუდგა მოსახსენებელი კონდაკის ბეჭდვას. ამისთანა კონდაკები ძველს დროშიდ თითქმის უველს ეკლესიებში და მონასტრებში ჭკონებიათ. მაგრამ დღესანტყვით ეკლესიისაში არ მოიპოება.

ფ25  
1891

# მწყმსი



მე ვარ მწყმსი კეთილი: მწყმსმან კეთილმან სული თვისი დაქსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწემედული. ესრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 14

1883-1891

30 ივლისი.

გ ა ზ ე თ ი ს თ ვ ა ს ი :

12 თოვით	5 მან.	12 თოვით	6 მან.
6 —	3 —	6 —	4 —

ფულისა და წერილების გაზგავენა შეიძლება ამ ადრესით: ვხ Кавказу, Въ редакцію „Мѣсяца“ и „Пастыря“.

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბუქდავით გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის წარდით უკანვე დაებრუნოს სტატიები მიიღებიან რუსულის ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

დიდი მნიშვნელობა და უაღრესობა მღვდელ-ლოპის წოდებისა.

774

(გაგრძელება \*)

ასეთივე დიდ მნიშვნელობას აძლევს მღვდელობას წმ. იოანე მკროპირი, რომელმაც ამის გამო პატარაობისას არ მიიღო მღვდელობა. წმ. იოანეს წიგნებში მღვდელობაზე, რომელიც დასწერა მან, რათა თავი გაემართლებია ერთი თავისი მეგობრის წინაშე, რომელსაც წმ. იოანემ პირველად სიტყვა

მისცა, რომ იგი მიიღებს თავის თავზე ეკლესიის სამსახურს, და შემდეგ კი დაიძალა, როცა მღვდელად ხელდასმის დრო მოახლოვდა, გამოხატულია ისეთი უღრესობა ღვდელობის სამსახურისა, რომ ამ მოვალეობის მიღება გაუჭირდება მშვენიერ ლტოლვილებათა და მისწრაფებათა შესანიშნავი გონების პატრონსაც. ასეთი დიდი შეხედულება ჰქონდა წმ. იოანეს მღვდელობის სამსახურზე, და ამიტომაც დაიძალა იგი, როცა მოვიდა მისი და მისი მეგობრის მაკურთხებელი. «მღვდელობა, ამბობს წმ. იოანე მკროპირი, თუმცა ქვეყნიური სამსახურია, მაგრამ მღვდელი ასრულებს მასს, რაც შეშვენის ზეციურ არსებათ. მღვდელობა დაადგინა არა კაცმა, არა ან-

\*) იხ. «მწყმსი» № 13, 1891 წ.

გელოსმა, არა მთავარ-ანგელოსმა, არცა სხვა რაიმე შექმნილმა ძალამ, არამედ თვით ნუგეშინის-მცემელმა, რომელმაც მღვდლებს, როცა იგი ხორციელად იყო ქვეყნად, დაუდგინა ანგელოსებრივი სამსახური. ამიტომაც მღვდელი, რომელიც სდგას თითქმის ცაზე ანგელოსთა შორის, უნდა იყვეს განსაკუთრებით წმიდა. როცა შენ ხედავ ტარიგს შეწირულს და მდებარეს, ხოლო მღვდელს, მდგომარეს მსხვერპლის წინაშედა მლოცველს, განა წარმოიდგენ, რომ შენ ხალხთან ხარ დასდგებარ მიწაზე? ბანა იმ საათს შენ არ ამალღდები ზეცად, და დაივიწყებ რა ყოველივე ხორციელს, გულ ახლით და წმ. გონებით არ ხედავ ზეციურ საგანთა?... მსურს თუ არა, რომ მეორე სასწაულით შეიგნო სიმაღლე ამა მღვდელ-მოქმედებისა? ამიწერე მე ილია, რომელიც მრავალ ხალხთან ერთად იდგა და სწირავდა მსხვერპლს; მსხვერპლი სდევს ქვებზე; ხალხი გარშემო სდგას ჩუმათ, მხოლოდ ერთი წინასწარმეტყველი ევედრება ლმერთს. მხლა წარმოიდგინე ცეცხლი, რომელიც უეცრად გარდამოვიდა ზეცით მსხვერპლზე. ბანა ყოველივე ეს საკვირველი და გასაოცარი არ არის? მხლა ყურადღება მიაქციე მასს, რაც სრულდება ტაძარში: სდგას მღვდელი, და ევედრება ლმერთს, რათა მან გარდმოავლინოს არა ცეცხლი, არამედ სული წმიდა: დიდ ხანს ლოცვილობს მღვდელი, რათა მადლობა, გარდმოვლენილმა მსხვერპლზე, აღანთოს სული ყოველთა და შექმნას ისინი უბრწყინვალეს განურებული ოქროსა. არც ერთი კაცის სულს არ შეეძლო აეტანა ის ცეცხლი, ყველა ისინი დაიღუპებოდნენ, რომ მათ მფარველად არ ყოფილიყო დიდი მადლი ლეთისა.

ითუ წარმოვიდგენთ, რომ ასეთი დიდი საქმე ეძლევა ხორციელს კაცს, და ამ საქმით კაცი უხელოვდება ნეტარს და უკვდავ არსებას, მაშინ ცხადი იქნება, თუ რა პატივი და ღირსება მიანიჭა მღვდლებს სულის წმიდის მადლმა. მღვდლები ასრულებენ მსხვერპლის შეწირვას, ასრულებენ სხვა უმაღლესს მსახურებას, რათა აცხოვრონ მორწმუნენი; იგინი სცხოვრებენ და მოქმედებენ ქვეყნად, მაგრამ განაგებენ ზეციურს, მათ მიიღეს უფლება, რომელიც არ მიუნიჭებია ლმერთს არც ანგელოსთა და არც მთავარ-ანგელოსთათვის... რასაც ასრულებენ მღვდლები ქვეყნად, იმას ლმერთი ამტკიცებს ზეცაში. მღვდლებსათვის ლმერთს ხომ მთელი ზეციური მთავრობა

არ მიუნიჭებია? უკეთუ ვაეთნამე მაუტკუნეთ ტოღანა, მიუტკუნენ მათ; და უკეთუ ვაეთნამე შეიპყნეთ, შეპყნობილ იყვნენ (იოან. XX, 23). ამაზე მეტი უფლება შეიძლება? მამამ ყოველი მთავრობა მისცა ძესა; ხოლო მე ვხედავ, რომ ყოველივე ეს მთავრობა ძემ მიანიჭა მღვდლებს. ამ სახით მღვდლებს მიანიჭებული აქვს ისეთი მთავრობა, თითქო იგინი აღვიდნენ ცად და გამოიცვალეს კაცობრიული თვასება, და განთავისუფლებულ იქმნენ ჩვენ კრებათაგან. როცა მეფე ვინმე თავის ქვეშევრდომს მიანიჭებს უფლებას, რომ მან თავისი შეხედვით დააპატიმროს და განათავისუფლოს ის, ვინცა სურს, ამ კაცს ყველანი პატივს სცემენ. ამაზე უფრო მომეტებული პატივი არ უნდა ვსცეთ კაცს, რომელსაც მიღებული აქვს უფლისგან უმაღლესი უფლება, და ეს უფლება ხომ იმოდენად უმაღლესია, რამოდენადაც უმაღლეს არს ცა დედამიწაზე, რამდენადაც უმთავრესია ხორცზე სული... უგურება იქნება, შეურაცხვეყოთ ისეთი მთავრობა, ურომლისოდაც არ შეიძლება მივიღოთ არც ცხონება და არც აღთმული სიკეთენი. ითუ კი არავის არ შეუძლია შევიდეს სასუფეველში, თუ არ გაიბანა წყლით და სულით, თუ უფლის ხორცის და სისხლის მიუღებელი გამოძევებულ იქმნებიან საუკუნო ცხოვრებისაგან: მაშ უმღვდლოდ ვის შეუძლია ასცდეს საუკუნო ცეცხლს, ანუ მიიღოს გამზადებული გვირგვინი.

მეექვსე წიგნში მღვდლობის შესახებ წმიდა იოანე მოკროპარი იმავე აზრს უბრუნდება და განმარტებს მღვდლობის სამსახურის უაღრესობას. «იოანე უნდა იყვეს ის, ამბობს წმ. იოანე, რომელიც ლოცვილობს მთელი ქვეყნისათვის, და სთხოვს ლმერთს, რათა მოწყალე გვეყოს და მიუტევოს ყოველი ცოდვა არა მარტო ცოცხალთ, არამედ გარდაცვალებულთა? მე ვფიქრობ, რომ ამისთანა შუამავლობისათვის საკმაო არ არის გამბედაობა მოსესი და ილიასი. მინაიღგან მღვდელს ჩაბარებული აქვს მთელი ქვეყანა, და ის, როგორც ყოველი კაცის მამა, წარსდგება ლეთის წინაშე და ევედრება მასს, რათა მოისპოს ყველგან ბრძოლა, ამბოხება, და მიენიჭოს ყველას მშვიდობა, კეთილდღეობა და ჩქარი ხსნა ყოველთა განსაცდელთაგან, რომელიც გვეწვიან ჩვენ. და როდესაც ის მოუწოდებს სული წმიდას და იწყებს უსაშინელესი მსხვერპლის შეწირვას და ხელით შეეხება უშუალს, მაშინ, მითხარით, თუ რა



ხარისხი უნდა მივაკუთვნოთ მას? როგორი სიწმიდე და კრძალულება მოვითხოვთ მისგან? ამ დროს ანგელოსნი სდგანან მღვდელთან ერთად, და მთელი ზეციური ძალნი დალაღებენ და მათი დალაღებით იესება სამსხვერპლო სადიღებლად იქ მდებარისა. მრთი კაცი, მოხუცებული და საკვირველი, რომელმაც მიიღო ლეთისგან განცხადება, იტყოდა ხოლმე თავის თავზე, რომ იგი ღრისი ვახდა შემდეგი ხილვისა: უფუმიდესა მსხვერპლის შეწირვის დროს საკურთხეველში მან უეცრად იხილა მრავალი ანგელოსნი, რომელნიც შემოსილი იყვნენ ბრწყინვალე სამოსლებით, იგინი იდგნენ ტრაპეზის გარშემო და თავი მოხრილი ჰქონდათ; სწორედ იმ სახით, თითქო ჯარის კაცნი დგანან მეფის წინაშეა.

წმ. იოანე ოქროპირი არა ერთ გზის ეხება მღვდლობის სამახსურის სწავლებების საქმეს და თავის საუბრებში, რომლებშიაც განმარტებულნი არიან ან სახარების რომელიმე თავი და ან წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლენი და ყოველთვის, როცა ის ხეობულს საგანზე იწყებს ლაპარაკს, დიდი კრძალვით იხსენიებს მღვდლობას და სხვათაც არწმუნებს, რომ მღვდლებს და მღვდლობას შესაბამი პატივისცემით მოეპყრან. მეორე საუბარში, რომელშიაც განმარტებულია წმ. პავლეს მეორე ეპისტოლე ტიმოთეასადმი, წმ. იოანე ოქროპირი არიგებს რა მამენელთ, რათა მათ პატივი სცენ მღვდლებს და დაემორჩილონ მათ, წინადაუდებს ყველას, რომ მღვდლებს პატივით უნდა ექცეოდნენ მაცხოვრის გულისათვის, რომელიც განაწესებს მღვდლებს და რომელსაც ისინი ემასხურებია; იმ პატივს, რომელსაც მღვდლებს აღმოუჩნთ, ანუ უპატივცემულობას, რომელსაც მათ მივაყენებთ, არა მარტო მღვდლებს, არამედ მათთან ერთად შეურაცხვეყოფთ თვით უფალს. როცა ხელქვეითნი პატივსა სცემენ უფროსთ, უკანასკნელნი პირველთ სამაგიეროს უხდიან, ხოლო როცა მღვდელს შეურაცხვეოფენ, ამ შეურაცხებას იღებს თავის თავზე მეუფე, როგორც ეს სხანს საპუილის მაგალითისაგან: ახა შენ, იტყვის მეუფე, შეუჭაფს გეგეს, ახამედ მე (ა მფეუთა 8, 7). ამ სახით მღვდლებისათვის შეურაცხება სასარგებლოა, ხოლო პატივი ტვირთია. მე მარტო მღვდლების სასარგებლოდ კი არ ვაძობ ამაებს, არამედ თქვეთვის. მინც პატივსა სცემს მღვდელს, ის პატივსა სცემს ლმერთსა. ხოლო ვინც მიეჩვია მღვდლია შეურაცხებას, ის ცოცხალია შექცეულად.

რაცხებს თვით უფალსაც. რომელმან შეგიწინააღმდეგე, მე შემიწინაა (მათ. 10, 40). და მღვდელსა უფლისასა პატივი ეცა (სიკრ. 17, 31). მბრძოლებმა მოიძულეს მოსე და მონღომეს მისი ქვეით დაქალვა; შემდეგ იქამდე მიაღწიეს, რომ ლმერთსაც ეურჩებოდნენ ხოლმე. როდესაც ვინმე პატივით ეპყრობა მღვდელს, ის უფრო უმეტესი პატივისცემით მოეკიდება ლმერთსა. მღვდელი რომ კიდევ უღირსი იყოს, ლმერთი, როცა იხილავს, რომ შენ ლეთის გულისათვის უღირსს პატივსაცემ, ამისათვის უფალი მოგანიჭებს შენ ჯილდოს. მინაიდგან თვით უფალი იტყვის: რომელმან შეიწინააღმდეგე წინასწარმეტყველი, სახელად წინასწარმეტყველისა, სასუიდელი წინასწარმეტყველისა მიიღეს (მათ. 10, 41); შესაფერ ჯილდოს მიიღებს ისიც, ვინც პატივსა სცემს მღვდელს და ვინც ემორჩილება მასს. იცი თუ არა, ვინ არის მღვდელი? იგი არის ანგელოსი უფლისა. თავის თავად ლაპარაკობს იგი. როცა მღვდელს შეურაცხებ, ამით შეურაცხებას აყენებ შენა არა მასს, არამედ ლმერთსა, რომელმაც იგი დაადგინა. საიდგან ჩხანს, შეიძლება იფიქრო შენ, რომ მღვდელი უფალმა დაადგინა? თუ შენ ეს არ უწყი, მაშინ ამაო, შენი სახობა. თუ ლმერთი მღვდლის შემწეობით არა რაის აკეთებს, მაშ შენ არა გაქვს მიღებული არც ნათლისღება, მონაწილეობას არ იღებ საიდუმლოებში, და არ სარგებლობ ლეთის კურთხევითა, და მაშასადამე შენ ძრისტიანიც არა ხარ.

პასუხი მართლოსისძმს.

(ჩვენი საღმრთო და საეკლესიო წიგნების მდგომარეობის მოკლე მიმოხილვისაგან).

(დასასრული \*).

მამარჯვებული კორრექტურული შეცდომით მართლოსისძე მოგვითხრობს აღტაცებით, რომის დიდ მხრუნველობას ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ. მოვიყვანთ მთლად ამ ადგილს აქვე: რადგან დ. დამბაშიძე უნებლიედ შეესა შე-XVII საუგუნეს, რადგანც, მისისავე სიტუვით, თუქვე გა-

\*) ის. «მწეუბსა» № 13, 1891 წ.).

მართული იყო ქუთაისში ქართული სტამბა, ამისთვის საჭიროდ მიგვაჩნია, ვაუწყოთ მკითხველს, რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში ამისთანა ადგილი ეჭირა ანა ქუთაისს, ანამედ რომის ქალაქს.

უკვლამ იცის, თუ რა ხალხით შეუდგა ლათინთა ეპკლესიას თავის მოწმუნეთა რიცხვის გამრავლებას შემდეგ იმისა, როდესაც მილიანობით მოაკლდა რიცხვი ერთმოწმუნეთა წევრთა საწმუნოებრივის განხსლების ანუ მოძრაობის დროს ეგრძაში. ამის გამო ლათინთა ეპკლესიას სტდილობდა სამსაგიერო რიცხვი მოწმუნეთა შეკმინა შოკრეულს ქვეყნებში მანტ. ამ განზრახვით ზაზმა გრიგოლ მე-X დააწესა ქრისტიანობის მქადაგებელთა საზოგადოება 1622 წ. ხოლო 1627 წელს ამგვარივე საზოგადოება დააწესა ამის მოადგილემ უზან მე-VIII. მაშინდელი დრო განა მოითხოვდა ამისთანა საშუალებას ლათინთა ეკლესიის მხრივ? იტალიელი მოგზაური შიეტრო დელ-ლა-კალე თავის მოგზაურების დროს მე-XVII საუკუნის დასაწყისში იყო საქართველოშიც. როდესაც გაიხრა ქართველობა, შათა საწმუნოება და ზნე-ჩვეულება, დიდად სწუსდა, რომ ამისთანა ქვეყნისთვის ლათინთა ეპკლესიას არ მიუჭტკვია აქამომდე თვისი უფრადლება. საფუძველიც ქქონდა ამისთანა მწუნსაბებს, როგორც თვით საქმით დამტკიცდა. კასეთის მეფემ თეიმურაზ I და ალავერდის მიტროპოლიტმა დიდის ზეტივით მიიღეს შირველი ბეჩი ლათინთა საწმუნოებისა, მამა თადეოზი, რომელიც შაჰ-აბასმა გამოგზავნა კასეთის მეფესთან სამძიმრის სათქმელად შირველის ცოლის ანნას სიკვდილის გამო 1610 წ. მეფემ აწირვინა თავისს ეპკლესიაში და ადგილიც აძლია ეკლესიის ასაშენებლად. ამგვარადვე მიიღეს ერთი ლათინთა ეკლესიის ბერთაგანი სამეგრელოშიც ლეკან (1611—1657) დადინის დროს. რომ უფრო მჭიდროდ დაკავშირებულიყო საქართველო რომთან, ლათინთა ეკლესიამ განიზრახა, რომ მქადაგებელთ შეესწავლათ ქართული ენა. ამ განზრახვით, როგორც გარწმუნებს ზროფესკოში აღტკერი, კოლლეგიის დაწესების დროდამდე, კ. ი. 1627 წ. მიიწვია ზაზმა რომს ზროფესკოში ქართულის ენის სასწავლებლად. ეს მასწავლებელი იყო ნიკოფორე ირზანი, ტომით ქართველი. ირზანი იყო განათლებული შვილი თავის მამულისა. ამან შირველმა ჩაჭყაჩა საძირკველი ქართულის ბეჭდვისა და ისეთის მოსკერხებით შესწავლა ქართული ენა თავისს მოწაფეებს, რომ

სანუგანად გახდა ჩვენი ენა დასავლეთ მეცნიერთათვის. ირზანის თანამოღლაწე იყო ამ საქმეში ლათინთა ბეჩი სტეფანე ზაუდინი, რომელიც შეიძლება წინად იყო საქართველოში. ამ საზოგადოების სტამბაში ჩამოასხეს შირველად ქართული ასოები და დაიბეჭდა: ა) ქართულ-იტალიური ლექსიკონი 1626 წ. ბ) ქართული ანბანი 1629 წ., ქართული გრამმატიკა მარია-მადჯისა 1643 წ., დ) ქართული გრამმატიკა მისივე მეორე გამოცემა 1670 წ. აი სად და რა წიგნებო დაიბეჭდა ქართულის ასოებით მე-XVII საუკუნეში. ამას შემდეგ თვით მკითხველმა განსაჯოს დიხსება იმისა, თუ რაც გვიტხრა დ. ღამბაშიძემ ქართულის ბეჭდვის გამო ქუთაისს მე-XVII საუკუნეში და მოსკოვ-თბილისში მე-XVIII საუკუნეში.

ერთი ჰკითხვით მართლოის ძეს, თუ რას მივლდებ-მოვლდება? ჩვენ ვსწერდით ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ და ეს რას ამბობს? მინ კითხავს მას თუ რა ხალხით შეუდგა ლათინთა ეკლესია ქართული ენის შესწავლას და ქართველების გაფრანგებას? მინ ჰკითხავს მას, თუ რომელ წელში და თთვეში დააწესა ქრისტიანობის მქადაგებელთა საზოგადოება ჰაზა ბრიგორი და უზან მე-VIII? მინ ჰკითხავს მართლოის ძეს თუ როგორ სწუსდა ლათინთა ეკლესია, რომ საქართველოს ხალხი ვერ ჩაიგდო ხელში იმათ მაგიერ, რომელნიც ხელიდგან წაუღიდა? მინ ჰკითხავს მას, თუ რომელი ფრანგის ბერი გაუგზავნა სამძიმრის გამოსაცხადებლად შაჰ-აბაზმა აახეთის მეფეს თეიმურაზ პირველს? მინ ჰკითხავს მართლოის ძეს თუ რა და რა იგზუიტურ ხრიკებს ხმარობდა რომის ჰაზა, რომ საქართველოს ეკლესია მტკიცედ დაეკავშირობინა რომის ფრანგთა ეკლესიასთან? მინ ჰკითხავს მართლოის ძეს, თუ სად დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი 1626 წელში? ჩვენ ვსწერდით და მოუთხრობდით მკითხველს, თუ როდის, სად და როგორ იბეჭდებოდა ჩვენი საეკლესიო წიგნები. მართლოის ძე მოგვითხრობს, თუ სად და როდის დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი, ქართული გრამმატიკა, მარია-მადჯისა და ქართული ანბანი. რა უნდა დამტკიცოს მართლოისძემ ამდენ ღობე-ყორეს მიღებ-მოღებით? როგორც ჰგავს, მართლოის ძეს ამით უნდოდა გავემტყუნებინეთ ჩვენ, რომ საეკლესიო წიგნები პირველად რომში ჰაზისაგან იბეჭდებოდა! მართლოის ძემ ჯერეთ კიდევ არ იცის, რომ



ქართული ანბანი, ლექსიკონი და გრამატიკა საეკლესიო წიგნებს არ შეადგენენ. ხოლო ჩვენ სამოქალაქო სახალხო წიგნების ბეჭდვებზედ არაფერი არ გვითქვამს. მაშ რისთვის შეიწუხა თავი ამდენი ყმედობით რომის პაპების მოქმედების გამოაშკარავებით? მისთვის, რომ იგი რომიდან მოვლის ყოველ სიკეთეს, ვანათლებას, ქართული საეკლესიო წიგნების გავრცელებას და რაც გინდათ! ქართლოსისძეს იმედი აქვს, რომ რომის პაპა ისევ დაუბრუნებს სასწავლებლის ზედამხედველობას და ის ისევ თავისებურად ვანაგებს სასწავლებლის მეურნეობას ღვთისგან კურთხეულს ქალაქს თელავში... ქართლოსისძე მეორე ამბანავია ბ. საანისა, რომელიც ქვეყანას უშეცდებდა, რომ მე ქართველი პატრიოტი ვარო და ბოლოს, როცა თავის სურველს ვეღარ ვეღირსა, ფიცით აღაჩა მე ქართველი არა ვარო, მაგრამ ქართველის ტყავში ვმოქმედებდი, რომ უფრო დამეტყუებინა ქართველებიო!... შორს ამისთანა მზრუნველები, შორს ამისთანა პატრონები!...

ჩვენ არასოდეს არ დაგვიფარავს ჩვენი მეითხველებისათვის, რასაც ჩვენზედ სწერდენ სხვა ვაზებებში. ზოგიერთებს სასირცხოდ მიანიათ გამოაშკარავებუ ყველა იმისა, რასაც მათზედ სწერენ მათი მოწინააღმდეგენი. ჩვენ კი სულ სხვა აზრისა ვართ. ათასჯერ რომ გავფაროთ ოქრო ტალახში, ის მაინც თავის ფასს და თვისებას არ კარგავს. რაც უნდა საზიზღარი ცილი დაგვწამოს ქართლოსისძემ, რომელიც ღობეს ამოფარებია და ტალახს ისერის თავისი გასვრილი ენით, ჩვენ მისი ცოლის-წამების არ გვეშინია და ამისთვის მთლად შეუცვლელად მოგვეყავს მისი სიტყვები:

უნდა კი შევნიშნათ, რომ ესრეთის ცოცხალის ტუფილების გამოქვეყნება დ. ღამბაშაძეს უნაგაკიშოდ უშეცდებით არ მოეხსენება. ამან იცის, თუ სად, როდის და ვისთან გამოდგება ტუფილი და, უკეთუ აქ ნასტომი შეეშალა, ეგ მარტო ამის ბრალი არ არის. რა განზრახვით დაიმდაბლა თავი დ. ღამბაშაძემ და ტუფილების ქადაგება დაიწყო. იქნება ამისი შესახებ პატივ-სადები საბუთები წამოგვიდგინოს. ისტორიული ფაქტები შესწირა ჩვენმა მეთაუკმე პრაქტიკულს მოსაზრებას. უნდა დაემატებინა, რომ უკვე ჩვენ საქმეში მეთაუკმე კვთუების მოსკოვს და აი სწორედ ამგვარმა დედა აზრმა ავისკების უშეცდებლად მოძღვრება ჩვენს დეგანოზს. მეკვ

რა მინდა, როდესაც ამას დაემატებოდნენ? რა-და, თუ ჩვენის საეკლესიო წიგნთა ბეჭდვა მოსკოვში დაიწყო, მაშასადამე დღესაც იქ უნდა იბეჭდებოდეს აღნიშნული წიგნებია. («ივერია» № 116 1891 წ.)

ამ საზიზღარ ცილის-წამებზე ჩვენ დღეს არაფერს არ ვიტყვი. რომ ყველა ეს ზემოდ დაწერილი ქართლოსისძისაგან აშკარა სიტყვა, და მისი სწული და დაზღუნებულ ტენის ბოდვა, ჩვენ მოვიყვანთ სრულებით შეუცვლელად და სიტყვა სიტყვით, რასაც ვსწერდით ჩვენ 1889 წელში სხენებული საგნის შესახებ ჩვენს რუსულ გამოცემაში:

Съ давняго времени мы обратили вниманіе на это важное дѣло и задались цѣлью помочь, сколько возможно, печатанію церковно богослужебныхъ книгъ у насъ, поставивъ его въ возможно лучшія и удобныя условія. Въ этихъ видахъ, между прочимъ, мы два раза ѣздили въ Россію, чтобы достать церковно-грузинскіе шрифты всѣхъ размѣромъ и видовъ. Но, къ сожаленію, всѣ наши поиски какъ въ Москвѣ, такъ и въ Петербургѣ остались тщетными. Навели справки объ этихъ шрифтахъ изъ Петербурга въ Вѣнѣ и Венеціи, откуда, какъ намъ сообщили въ Петербургѣ, доставлялись церковно-грузинскіе шрифты для Кутаисской типографіи,—но и тамъ ихъ не оказывается.

Въ Московской Синодальной типографіи имѣются только матрицы №№ 16 и 22, въ типографіи Академіи Наукъ имѣется № 12 шрифта неособенно удовлетворительнаго. Въ другихъ же словолитныхъ заведеніяхъ въ Россіи—Лемана, Гербека и др., хотя имѣются нѣкоторые шрифты, но они не годятся для печатанія книгъ, какъ неимѣющіе характера нашихъ церковно-грузинскихъ шрифтовъ.

Словолитныя заведевія, въ виду незначительнаго спроса на шрифты для церковно-богослужебныхъ книгъ, не рѣшаются сами дѣлать затраты на заготовленіе матриць для выше означенныхъ шрифтовъ, а Московская синодальная типографія, также въ виду малаго количества церковно богослужебныхъ книгъ, потребныхъ для церквей и монастырей грузинскаго эзархата, не находитъ выгоднымъ печатать эти книги по той же цѣнѣ, какъ печатаются богослужебныя книги на славянскомъ языкѣ.

Вполнѣ надѣмся, что Грузино-Имеретинская Синодальная Контора приметъ всѣ мѣры къ тому, чтобы печатаніе церковныхъ книгъ обходилось не дороже сихъ книгъ, печатаемыхъ Московской Синодальной Типографіи. Мы думаемъ, что этого можно достигнуть, если Грузино-Имеретинская Синодальная Контора потребуетъ отъ частныхъ типографій, изъявляющихъ желаніе печатать церковно-богослужебныя



книги, имѣть разнообразныя шрифты и употребленіе киновари замѣнить этими шрифтами, отчего печатаніе книгъ и обойдется гораздо дешевле.

ამას გარდა თვითონ მარლოსის ძე აი რას სწერს ჩვენზედ კიდევ «ივერია»-ში მე-№ 124:

„ძლიერ კარგი იყო გვარწმუნებს დეკ. დ. ლამბაშიძე, რომ ჩვენშივე ყოფილიყო მოწყობილი საქმე ისე, რომ საეკლესიო წიგნების დაბეჭდვა აქვე წარმოებულყო. ჩვენში ასოთ ამწყობლებსაც უფრო იაფად იშოვიდა კაცი და კორრექტორსაც. მოსკოვში ასოთ ამწყობის დაქირავენა ძვირად დაჯდება“. ეს სიტყვები მართლოსის ძეს მოუყვანია ჩვენი სტატიიდან, რომელიც «მწყემსი»-ს 1890 წ. № 15—16 იყო დაბეჭდილი.

მინც სწერს ამანებს რუსულად, და ქართულად ყველას გასაგებად, შეიძლება მას კიდევ დაესწამოთ, რომ მოსკოვში ჰსურს საეკლესიო წიგნების ბეჭდვის გაღატანა? სრულებით არ შეიძლება. მაგრამ მართლოსის ძეს, გონების თვალები დამსია და პირადობის ანგარიშით რასაც სწერს, აღარ იცის!...

შემდეგ განავრძობს მართლოსისძე:

სადღა აქვს დ. ლამბაშიძეს ცნობები ფასის შესახებ? ანაბე თუ 1863 წ. წინანდელ დროისას, ანაბე დახლანდელ ფასის ცნობებსაც ან გავაძიებს დ. დ—ძე, გარდა შემდეგის ლიტონის სიტყვების: «1863 წლის შემდეგ ჩვენი საეკლესიო წიგნები იბეჭდება თბილისს და უფრო ძვირად შედარებით იმ წიგნებთან, რომლებიც დაბეჭდილნი მოსკოვში» (იქვე). «უკანასკნელს დროში, განავრძობს დ. დ—ძე, დაიბეჭდა ორი წიგნი—ყამნი და კონდაკი, მაგრამ ორივე წიგნების ფასმა ერთობ იწია.

ჩვენი საეკლესიო წიგნების ფასი თითქმის ყველამ იცის სასულიერო წოდებაში და ამისათვის ამ წიგნების ფასის ჩამოთვლა საქიროდ არ მიგვაჩნდა. შამნი, მაგალითებრ, წინედ ღირდა შეიდ აბაზად. ხელაძის სტამბაში დაბეჭდილის ფასია 3 მ. ლოცვანი, მოსკოვის სტამბაში დაბეჭდილი, ღირდა 60 კ. ხელაძის სტამბაში დაბეჭდილი ღირს 1 მ. აგრეთვე სხვა წიგნები. ეს ცნობა ყველასთვის ცხადია და არ იცის მარტო მტვარელიშვილი...

ღანარჩენი მთელი ერთი გვერდი ფელიეტონისა მართლოსის ძისაგან გავსილია ისეთი უმნიშვნელო სიტყვებით და აჭია-ბაჭიათი, რომ ყურადღების ღირსად არ მიგვაჩნია. ზოგი ნათქვამი მართლოსის ძისა შეეხება სხვა-და-სხვა პირებს რომელნიც ვალდებულნი არიან მისცონ პასუხი. სხვათა შორის მართლოსის

ძეს აქვე წინ წამოუყენებია ბ. მეტიმე ხელაძე და ქებას შეასხამს მისთვის, რომ მის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები ასე ძვირად ისყიდებოდა და სწუხს, რომ ექსარხოლმანება არ მისცა ამ შრომის გაგრძობაზე. რა გაეწყობა! შირს გაძღობა უნდა! შევლაფერი უნდა მოვითმინოთ! სამწყურაო იყო მელაფის სასწავლებლის ოლქის სამღვდლოებისათვის, როდესაც ჩვენი გამოჩენილი ფინანსიტი ბ. მტვარელიშვილი დაითხოვეს ზედამხედველობიდან თავისებურად ანგარიშის წაყვანისათვის, მაგრამ რა ექნათ?! რომს რომ მტკიცედ დაკავშირებოდა საქართველო, რასაკვირველია, მტვარელიშვილი დღესაც ზედამხედველად იქნებოდა და მართული საეკლესიო წიგნები თითო კაპეკად ეღირებოდა. ამასთან დეკ. ლამბაშიძეს «მწყემსი» არ ექნებოდა და ჩვენი სასწავლებლების ზედამხედველებზედ კრინტს ვერ ამოიღებდა!...?

«ივერიის» მე № 123 მართლოსის ძეს მოჰყავს პირობა, რომელიც მოსკოვის სინოდის სტამბამ გამოუგზავნა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორას და შემოუთვალა ან მიღება ამ პირობისა და ან უარის თქმა. აი ეს პირობა:

როგორც მოსკოვის სასანადგო სტამბას, აგრეთვე საქართველო-იმერეთის კანტორას ჰსურს ეკონიადა შემდეგი: ა) სტამბამ უნდა დაბეჭდოს ქართული საეკლესიო წიგნები მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუკვეთს თვით საქართველო-იმერეთის კანტორას და ამ გზად შეკვეთის ამავეს აცნობებს ჰინდაზან სტამბას, ბ) გამსწორებლად ქართულ საეკლესიო წიგნთა უნდა იყოს იმისთანა ქართველი, რომელსაც მიუღოს უმაღლესი განათლება აკადემიისა და უნივერსიტეტისა, გ) ეს გეგმა ნიკთიერად ისე უნდა იყოს დაკავშირებული, როგორც ამას მოითხოვს მისი განათლება და მოღვაწეობა, დ) გამსწორებელი უნდა იღებდეს დაწესებულს სტამბისაგან შრომის საფასურს იმის მიხედვლობით, თუ რამდენი თაბასა ანუ წიგნი გაუსწორებია, ე) უნდა იყოს დაწესებული თბილისში მუდმივი კომიტეტი, რომელიც თავისის სქლის მიწევრით ყოველთვის ამტკიცებდეს მოსკოვის სტამბაში დასაბეჭდად გაგზავნილს წიგნებს.

ამ ორისაგან ჰინდაზანის დადებისათვის მასწონ ჰინდაზანთან გაჭდა, მოსკოვის სტამბა წინააღმდეგ თბილისის კანტორისა ითხოვს, რათა ა) გამსწორებელს ეძლეოდეს, გარდა სამუშაო საფასურისა, წელიწადში 600 მ. ჯამაგირი საქართველო-იმერეთის კანტორის





თანსიადამ, ხოლო აღნიშნული კანტონი ამ სარჯზედ უნდა ატყდეს, რადგან ქართული საეკლესიო წიგნები უოკელ წიგნით არ დაბეჭდება, ბ) მოსკოვის სტამბა საჯაროდ უფლად არ ჰხდის, რათა გამსწორებულმა მიიღოს აუცილებლად ხარისხი მდგეფლობისა, ხოლო საქართველო-იმერეთის კანტონი-გა ათხრეს ამის აღსრულებას აუცილებლად. ამ სამუდგებით, ჩვენის თქმით, კანტონი ცდილობს აიცილოს 600 მან. გამსწორების ჯამაგირი, გ) ამოწმობს და ქართულის ასოების-დაზვის გამართვის თასად მოსკოვის სტამბა იღებს გადაჭრილ თასს თავისის ნუსხით და ამას გარდა 50% მოგებას, ანუ მეტს თასს შედარებით სლავიანურს წიგნებთან, ხოლო კანტონი 25% მოგებას.

ამ პირობაზე მოკლედ შევიძლო სიტყვა ეთქვა მართლოსიძეს, მაგრამ მან თავისებურად გააპრტყელა სიტყვა და მოჰყვა წილადობისა. ეს პირობა პირდაპირადელია როგორც მართლოსიძის და ხელადისა, ისე სხვა მათი კამპანიის ცილის მწამებელთა, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ვითომ სინოდმა ერთი იმერელი დეკანოზის მოსხენებით უკვე გააღეს ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმე მოსკოვში. ეს პირობავე პირდაპირადელი ყველა იმ უსენილსოდ ნათქვამ ცილის წამებთა, რომლითაც ასე თავი გამოიჩინა მართლოსიძემ...

მართლოსის ძეს ჰსურს დაამტკიცოს, რომ საეკლესიო წიგნების საბეჭდად რუსეთში სტამბები არ არის მოწყობილი დღეს-დღეობით რიგიანად. ამას ამტკიცებს ისევე ჩვენგან დაბეჭდილი სტატიებით. მართლოსის ძე ამბობს:

რადგან ქართველთა თითქმის საუგუნო ნახევარი „დღეობა მოსკოვში ქართულ საეკლესიო წიგნთა ბეჭდვისათვის, იქნება იქ შეიკრიბა მკითხვისა იარაღი, საჭირო ქართულ წიგნების დირსეულად ბეჭდვისათვის? ამ საკითხის გამოკვლევას დიდი შრომა დასდო დეკ. დ. დ—ქემ, რომელმაც შეჭკნობა ამის გამო უოკელად წინაა. ამ ცნობებიდან სხანს, რომ რადემე მონაწილეობა მიუღიათ ქართულ საბეჭდად იარაღის მომზადებისათვის შემდეგ ადგილებს: მოსკოვს, პეტერბურგს, ვენას, ვენეტას, მაგრამ ჩვენის დროსთვის ეს მათ იარაღითა გამოსადეგი იარაღი აღარ დაჩენიათ. უოკელმა მხოლოდ მატრიცები (ყალიბი) №№ 16 და 22, ხოლო სამეცნიერო აკადემიაში № 12, მაგრამ არასახარბიელო. ამას გარდა

უოკელა გიდეკ სხვა-და-სხვა ხელის ასოება ლემანისა და გეგბეკის ასოთა ჩამოსახსმელ ადგილებში, მაგრამ ესენიც გამოუსადეგია ჩვენის საეკლესიო წიგნების ბეჭდვისათვის, რადგან ასოები უოკელა უშნობა და ქართულს ხასიათს მოკლებული (Пастыр 1889 года № 14).

მართლოსის ძეს ჩვენ ამ შემთხვევაში ვიცნობთ ცოტა ჰკუთხე გამწყარალად! მართ ადგილას გვამტყუნებს რუსეთის სტამბის მომხრეობაში და ესლა სულ სხვას ამტკიცებს!

თუ კი ჩვენ ვაცნობდებით ქვეყანას, რომ რუსეთში დღეს დღეობით რიგიანი ასოები არ მოიპოვება ხუტური წიგნის საბეჭდად, მაშ როგორღა გეგვამებს ავტორი ჩვენ ამ სტამბების მომხრეობას? ასე ძნელია ავიზნის სწეულება. რამდენჯერმე თუ გაუარაკაცს ტანში, უთუოდ ტვინს გაუთლავებს და გონებას დაუჩლუნგებს. არ გეგვარა, რომ ეს სწეულება არ სჭირდეს მართლოსიძეს!...

«ივერიის» დანარჩენი ერცელი ფელიეტონები № 124 და 125 მართლოსიძეს გაუშვია იმისთანა სწავლა-მოძღვრებით, რომელიც ყველამ იცოდა მის დაბადებამდინაც. სიტყვით ყველაფერი ითქმის და «ივერია»-შიაც შეიძლება დაბეჭდვა ამ სიტყვებისა, მაგრამ საქმით ასრულება სულ სხვა საქმე განლავს, სულ სხვა სიძნელეს წარმოგვიდგენს. სამღვდლოებას ესაყვედურება მართლოსის ძე, თუ რატომ დიდ ყუ რადლებას არ აქცევენ საეკლესიო წიგნების იაფად ბეჭდვის საქმესო: ის კი არ ესმის მართლოსის ძეს, რომ სამღვდლოება ამ უფლებას მოკლებულია და მას საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეს არავინ არ ჰკითხავს. არც ეს ესმის მართლოსიძეს და არც სხვა მრავალი და ტყუილ უბრალოდ ისერის ჰაერში სიტყვებს, მისი დარდი არ აწუხებს, აიყვანს ნიშანს თუ არა...

მხლა მკითხველმა გასინჯოს, თუ რამდენად მართალია მართლოსიძისაგან მოყვანილი საბუთები ჩვენს წინააღმდეგ. რაში გვამტყუნებდა ჩვენ მართლოსის ძე? გვამტყუნებს იმაში, რომ ჩვენ მოსკოვის მომხრე ვართ და დიდი იმედი გვაქვს მოსკოვის სტამბისა ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეში. ეს სწყენს მართლოსის ძეს, და პირობით ნანობს, რომ ჩვენ რომს არ მივაქციეთ ყურადღება. ნეტავი რა გაუყეთა რომმა და რომის ჰაზამ ქართული ენის სწავლების შესახებ ჩვენში მცხოვრებ ფრანგთა სამღვდლოებას? ბაბეღვით შევიძლია ესთქვათ, რომ ჩვენში ძვირად მოიძებნება

ისეთი მღვდელი, რომელმაც უკეთესად არ იცოდეს ქართული ენა აქაურ ფრანგის მღვდლებზე. ღღეს რა დაემართა რომს და რომის პაპს, თუ მე-XVII საუკუნეში დაარსეს ქართული წიგნების საბეჭდავი სტამბები, როგორ ვერ შეასწავლა თავის სამღვდლოებას ეს ენა რიგიანად? მისაც არ ჯერა ჩვენი სიტყვა, შევიდეს ფრანგების ეკლესიაში და მოისმინოს მათი მღვდლების ქართულს ენაზედ დაჯღარკულად წარმოთქმული ქადაგება.

სანემ თავისი ჩლონგი გონებით იფიქრებდა ბ. მართლოსისძე აღძრულ კითხვაზედ წერას, მანამდის ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ, ბევრი ვსწერეთ წინედ და ამ ბოლოს დროს იმის შესახებ, რომ ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმე რიგიანად დამდგარიყო. ჩვენი სურვილი იყო და არის, რომ თუ მოსკოვში დაბეჭდილი წიგნების ფასზედ ნაკლებ არ დაიბეჭდებოდა, იმ ფასად მაინც დაბეჭდილიყო, როგორ ფასადაც იბეჭდებოდნენ წინად მოსკოვში ჩვენი საეკლესიო წიგნები.

მართლოსის ძე როგორც ვიწრო შეხედულების კაცი პოლიტიკის მხრით უყურებს საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეს. მით დროს სასწავლებლის ფულების მფლანგავი უმტკიცებდა სამღვდლოებას თავის პატრიარქობას, მაგრამ სამღვდლოებამ არ შეიწყენარა მისი პატრიარქობა. «მწყემსის» გამოცემამ ზოგიერთი ამისთანა პატრიარქობის საქციელი გამოაშკარავა და მიიღეს კიდევ ჯეროვანი სასჯელი. არ მოეწონათ ამ ბატონებს «მწყემსის» პარამთქმელობა. «მართველმა ქართველზედ დამნაშავეც რომ იყოს იგი არაფერი უნდა სთქვასო», ამბობდნენ ისინი. «რა დიდი საქმეა, რომ სასწავლებლის ფულები სამი თუ რაღაც ოთხი ათასი მ. შემოეხარჯოსო?! სამღვდლოებამ ამისთვის მაინც არ უნდა განკიცხოს იგინო, როგორც თავიანთი პატრიოტებიო»... მაგრამ არაფერ შეიწყენარა ამ ბატონების ქადაგება. მრთი ამ ბატონთაგანი გამომდგარა და პატრიოტობას იჩენს ეხლა საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეში. და რამინდაო ეხლა? თუ ჩვენი საეკლესიო წიგნები ობილისის მიკირტუმ ბასპარიჩების სტამბებში არ დაიბეჭდნენ, დავიღუპებით, ყოველი თავისუფლებაზედ ხელ აღებული ვიქნებითო და ევროპა ქართველი თემის ხალხად აღარ გვიცნობსო! მახლას აკადემიის დაბლობა! ჩვენ კი საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეს სრულებით სხვანაირად ვუყუ-

რებთ, ჩვენთვის ერთია, სადაც უნდა დაიბეჭდოს ეს წიგნები, საქართველოში იქნება, მოსკოვში და თუ გინდ იაპონიაში, ოღონდ კარგად იქნეს დაბეჭდილი და იაფად. ჩვენთვის ერთია, მაკინტუმ გასპაჩინის სტამბაში დაიბეჭდება წიგნები, თუ აზნაურის, მღვდლისძის მეთიმე მკანესძას ხელაძას სტამბაში, ოღონდ რიგიანად და იაფად დაიბეჭდონ იგინი... შემდეგ დროში ჩვენ მოუთხრობთ მკითხველს მოკლე ისტორიას, თუ როგორ იბეჭდებოდა მოსკოვში ჩვენი საეკლესიო წიგნები და რა ეწია ამ საქმეს ჩვენში ზოგიერთი ხარბი მეტამაქების წყალობით. ამასთან დაწვლილებით შევტყობინებთ საზოგადოებას, თუ რა პარობით გამაჯავბადეთ ჩვენ თანხმობა მოსკოვის სინოდის სტამბაში ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭდვისა, თუ ეს მიუცილებლად საჭირო შეიქნებოდა გარემოებათა გამო.

† მამია ღვთისძის ძე მარღანიძე — გუჩიელი.

ამ თვის 25, ღამის ათს საათზე ხანგრძლივის ავთმყოფობის შემდეგ მიიცვალა ნიჭიერი მეღვქვე თავადი მამია ღვთისძის ძე ბურაელი, პარმშო ძე ღვით ბატონიშვილისა და შვილის-შვილი უწინდელის ბურჩის სამთავროის მმართველის მახტანგისა (ნამდვილი გვარი მათი არის მარღანიძე, ბურაელობა კი დაერქვათ ბურიაში რომ მთავრობდნენ იმის გამო). მანსვენებული იყო უეჭველის პოეტურის ნიჭით მომადლებული. ოქმცა გარემოებას ხელი არ შეუწყვია მისთვის, რომ სრული ნაყოფიერება გამოეღებინებია თავის ზეგარღამო შთაგონებისათვის და არ დაუწერია მესადიცი იმისა, რისიც დაწერა შეეძლო, მაგრამ რაც დაწერა, ისიც საკმაოა, რომ ქართულის მწერლობის მომავალმა ისტორიკოსმა რამდენიმე სიმპატიური გვერდი უძღენას მას. «შოშა», «ადამიანი» და მეტადრე «ზოეცა და ჩვენება» და პოეტურ მარგალიტებით ანუხსული პოემა «წაშიდ გაჭდაწაძე» — ყოველთვის დიდს სიამოვნებით წასაკითხი იქნება ქართველობისათვის. მურადლების მისაქცევი ის გარემოება, რომ თითქმის არცერთს ჩვენს მწერალს არა ჰყავს იმდენი მიმბაძველნი და მიმღე-



ვარნი, რამდენიც მამიას; მისი ნაწარმოებნი, რომელთა დიდი უმრავლესობა დაუბეჭდველია და დიდხანა ცვერ დაიბეჭდებიან,—ზეპირად იცის უმრავლესმა ნაწილმა წერა-კითხვის მცოდნე ქართველობისამ. იყო დრო, როცა მამიას ერთადერთს სალიტერატურო სალონს ობილისში დიდი მნიშვნელობა და გაეღენა ჰქონდა თვით უმაღლესს საზოგადოებაზედაც, მაგრამ შემდეგ დრონი იცვალნენ და სიმდიდრესა და ფუფუნებაში დაბადებული და აღზრდილი მიიცვალა მუთაისის მივარდნილი კუთხის ღარიბს ქოხში... «მსრედ წარმავალია დიდება ამა ქვეყნისა!»

ზანსვენებული დასაფლავეს კვირას 28 ამ თვისას წმ. ბიორგის ეკკლესიის ეზოში დროებით და იქილამ გადატანილ უნდა იქნას მომავალ სამრეკლოს იატაკის ქვეშ, როცა ამოიყვანებენ ბალავერს ამ სამრეკლოისას.

სასაფლაოზე გამოსვენებამდე გვამი ესვენა მუთაისის საკრებულო ტაძარში. სწორა და წესი აუგო ყოველად სამღვდლო ბაბრელომა, იმერეთის ეპისკოპოსმა თავის კრებულთურთ. სწორედ საღამოს 6 საათი იყო, როცა ტაძრილამ გამოასვენეს განსვენებული, რომლის ცხედარს მიჰყებოდა დიდი საზოგადოება. შუანასკნელად პატივის მცემელთა შორის დაინახავდით ყოველ წოდებისა და წლოვანების ქალსა და კაცს.

სამგლოვიარო ბაღდახინი შემკული იყო ჩინებული გვირგვინებით განსვენებულისა და მისი ნიჭის პატივისმცემელთაგან. აი ეს გვირგვინები და მათი წარწერა:

- 1) თ. მამია გუჩიელს ქართველი ქალებისაგან. «არ ჩვენ ვსტრემდებოთ მარტონი, გლოვს ყრმა, ჭაბუკი, მსცოვანი, ნუ შეგვშრინ ცრემლი თვალითაგან და გულთა მისი სსოვანი».
- 2) თ. მამია გუჩიელს ქუთაისის გუბერნიის თავად-ახნაურებისაგან.
- 3) თ. მამია გუჩიელს სამეგრელოდან.
- 4) სასკლოვანს პოეტს მამია გუჩიელს ქუთაისის საახნაურო სკოლისაგან.
- 5) მამია გუჩიელს სენაგის საახნაურო სასწავლებლისაგან.

6) თ. მამია გუჩიელს თბილისის საახნაურო სასწავლებლისაგან.

7) თ. მამია გუჩიელს ქართველ სტუდენტებისაგან.

8) თ. მამია გუჩიელს მისი ნიჭის თავჯანსმცემელთაგან.

9) თ. მამია გუჩიელს მ. კაღანდარშივილის, ი. ხელაძის და ი. კილაძისაგან:

«დიდებულ ნიჭის პატრონმა ვერ მოიპოვა გზა ფართო, წუთის სოფელმა დასტანჯა, ძალა უდროოთ წაართო. მაგრამ რაცა ქნა, იმითაც მსწრაფელ მოიხვეჭა სასული: იყო ღრმა გრძნობის პოეტო და განიკრათ მზრახველი».

10) თ. მამია დავითის ძეს კაღანძიქს—გუჩიელს იღია ჭყონიასაგან.

«ველარ მოვისმენთ კვლავ ჩანგსა მამიას ცეცხლის მგზნებარეს, მად ვსწუნვართ, თვარა რაც წერა ძეგლად დარჩება ჩვენს მხარეს! მთავრის შტო იყო და ლექსით მთავრობდა გრძნობას მღელვარეს, ჯავარი ვარდანიძეთა მასთან იმარხვის სამარეს».

სანამ ცხედარს მიაბარებდენ უკანასკნელს სავენეს, კუბო დასდგეს წმ. ბიორგის ეკკლესიაში.

აქ რამდენიმე პირმა წარმოსთქვა სიტყვა და ერთმა წაიკითხა ლექსი. სიტყვები წარმოსთქვეს: ნ. მენშიკოვმა, აფიცერმა ჩერნომორსკის პოლკისამ, რუსულად და თ. ბ. აბაშიძემ, ლექსი კი წაიკითხა ს. ხუნდაძემ. მოგვეყავს შემოკლებით სიტყვა მენშიკოვისა:

უგველასაგან პატივცემულო, ძვირფასო და დაუგაწყარო თავადო მამია!

«მინ იფიქრებდა, თუ ჩვენ ასე მალე გამოგვაკლდებოდა შენ, უკეთესი პატრიოტთაგანი და შენის საყვარელის და ძვირფასის მამულისათვის მებრძოლი! ბანა დიდი ხანია მას აქეთ, რაც გულის აყოლებდი მეგობრებთან საუბარს, და, სიკვდილის არ მომლოდინე, ზრუნავდი მომავლისათვის? მაგრამ ამ წყეულმა, მშიერმა და უწყალო სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი... და აი, ჩვენ წინ მდებარეობს შენი ცხედარი, მომაგონებელი შენგან განვლილის ცხოვრების გზისა.

დაუფიწყარო თავადო, დაგკარგეთ შენ, აღზნებული პატრიოტი, პოეტი და ღირსეული მოქალაქე. შენ იზმარე ყოველი საშუალება რომ მამუ-

ლისათვის სასარგებლო ყოფილიყავი და ძნელს და გასაჭირს ღროს შენ იყავი მისი უმამაცესი დამცველ-თაგანი. საკმაოა ერთი წამით გადავავლოთ თვალი შენგან განვლილს ცხოვრების გზას და დავინახავთ, რაოდენ ძლიერად და გულაგზნებით გიყვარდა შენი მამული, სულითა და გულით ერთგულობდი მისს ინტერესებს: მკერდით იცავდი მას მტერებისაგან, როცა საჭირო იყო და მოკლილ ღროს იღვწოდი სალიტერატურო ასპარეზზე და შენის ნაწარმოებით კვლავ უღვიძებდი ძლიერებას ხალხის სულს, აკეთილშობილებდი ხალხის გრძობას და წინ სწევდი მისს ზნეობრივს განვითარებას.

ძირიმის ომის ღროს შენ მამაცურად იბრძოდი ბაშ—ყადიკლართან, მურუქ-ღართან, და ძარსის სანგრებში. ძირიმის ომის შემდეგ აჯანყდა ღალესტანი. შენ გვექანე ამ ქვეყნისაკენ და არა ერთ გზის შეგმიხარ ჩანჩებს, ამ უშიშარ მებრძობებს ზარდამცემის შამილისას.

ღაწყნარდა ღალესტანიც. მაშინ შენ იყავი 25 წლის ჭაბუკი შტაბ-როტმისტრის ჩინით. მშვიდობიანობა ჩამოვარდა. შენ გწყუროდა უფრო მაღალი, უფრო არსებითი საგანი. შენ მიისწრაფოდი იდეალისკენ, რომელსაც ვერ ჰპოვებდი ბრძოლის ველზე. ეს იყო მიზეზი, რომ 1864 წელს დაანებე სამსახურს თავი და სცადე ცოლშვილში მოგებოვებინა ბედნიერება. მაგრამ აქაც, დაუვიწყარო და ძვირფასო თავადო, მოტყუებულნი შეიქენი: ოჯახის კერია მგაგიცრუება ოცნება, დავინარცხა იდეალი და დაგიკარგა რწმენა ბედნიერებისა. ღარიბი გულ-მოკლული, მარტოდ-მარტო მძიმესა და შავ ფიქრების მორევში... მაგრამ სასოწარკვეთილებისათვის მინც არ მიგიცია თავი. შენ აირჩიე კეთილშობილური გზა, სულითა და გულით შეუღევი შენის საყვარელის მამულის მწერლობის სამსახურს და გაამდიდრე იგი ჩინებულის, პოეტურის ნაწარმოებით—ორიგინალურითა თარგმანით.

შინ იქნება იმისთანა, რომ ქართული ენა იცოდეს და არ წაეკითხოს თავადის მამია ბურიელის ნაწერები, რომლებსაც მან ჩაურთო თავისი ქველი, ზეღამაფრენი სული და რომლებშიაც იგი თავის საოცარის ტყბილი ჰანგის ლექსებით ამკობდა ძაგვასის ბუნების სიტურფეს, მამულის სიყვარულს, მამაპაპათ გადმოცემას და გონებითი ცხოვრების აღორძინებას. მე შეგონია არ მოიპოვება ამისთანა კაცი, თუ მას კი უყვარს ქართული მწერლობა...

ქველ დაუტოვებლად არ გაგივლია შენი ცხოვრების გზა, თავადო მამია, შენს ნააზგარს შთამომავლობა დაუფასებს და მადლობელიც იქნება შენი.

შენ მიიცვალე, გადიქეც გვამად, და იქცევი მიწად, მაგრამ სული შენი ცოცხალია, შენი სსოვნა არასოდეს არ აღმოიფხვრება და კვლავაც არა ერთი გული ამგერდება შენი ნაწერების კითხვის ღროს. საუკუნოა ხსენება შენი!“

სიტყვა თ. გ. ხაშვილისა:

...«ცხოვრების ნიშნად სამართლქველად და სიუკანულო მომქოთა კვლად, სამშობლო შენი მასად გასსოვდეს თუკა გსუქს გახდე ადამიანად»....

ბი ეს დიდებული მოძღვრება ეკუთვნის ამ ჩვენთვის ძვირფასს ადამიანს, ჩვენგან დაუვიწყარ მომქეს, რომელიც დღეს ჩვენ წინ გულ-ხელ დაკრეფილი მოგვთხროს ქრისტიანულ დავალებას: შენდობას და მოტყუებას. ამ მოკლე, მაგრამ მაღალ-მგრძობარე შაირში არის დასახული იმისი სამარადისო მცნება, რომელსაც განსვენებული აღტაცებით და იმედნეტლებით აღვიარებდა და რომელსაც არ განშორებია დღემდის, საფლავის კარებამდის; ამაში არის მისი ყოველ დღიური აღსარება. ეს იყო მისი გულწრფელი ლოცვა, რომელსაც ციურის ხმებით შეღალღებდა თავის საყვარელ სამშობლოს არე-მარეს. თუმცა განსვენებულა, როგორც საზოგადოდ უმეტეს ნაწილის კაცობრიობისას, და განსაკუთრებით პოეტს მრავალი საჭირ-ბოროტო მოვლენა გადალობებია ცხოვრების გზაზე, ყოველ გვაზი სატანჯველი ცხოვრების ტალღები შესჯახებია იმის გულის ფაცარს; თუმცა „მაი“ და ცრემლის მეთა მის ცხოვრებაში თითქმის არა მოუპოვებია, მაგრამ მისი მადლიანი არსება პირადის მწუხარებით არ შემკრთალა, არად შეუმჩნეია და სასოწარკვეთალებას არ მისცემია! მისი ცრემლი, მისი გოდება იყო მხოლოდ გამომსახველი საზოგადო მწუხარებისა, მისი ავ-კარგიანობისა. თავის ჩანგით იგი ჰახაჯდა მამულის იმედებს, რომლისადმი სასოვება გულში განსვენებულს არ ამოუშლია... შეიძლება ამით არ გარდაეხადოს ყოველგვარი მოვალეობა ცხოვრებისათვის, მაგრამ მისი სამსახური და ღვწული მწერლობის ასპარეზზე არ არის დასავეიწებელი და ჩვენც ნიშნად მადლობისა ფუნატროთ საუკუნო მშვიდობა ჩვენს მოყვარულს, ჩვენგან დაუვიწყარ პოეტს“.

დექსი სიღვრის სუნდაძისა:

პოეტო! ზეცამ აგავსო  
ნიჭით და გრძობით ძალზედა;  
ბნელს ანათებდი, ბრწყინავდი  
შენ საქართველოს ცაზედა!

მაგრამ ცხოვრებამ დაგტანჯა,  
ძალა უდროოდ წაგართო;  
ღიღებულ ნიჭის პატრონმა  
მით ვერ იპოვე გზა ფართო...

რაც გსურდა, უველა ვერა სთქვი,—  
საწუთრომ აღარ გაცალა:  
შენს გრძობას მახე დაუგო,  
მოგწამლა, გასვა სამსალა...

ხოლო რაცა სთქვი, იმითაც  
მსწრაფელ მოიხვეჭე სახელი:  
იყავ დრმა გრძობის პოეტი  
და გონიერად მზრანველი.—

ანგელოსებრივ ფრთებ გაშლით,  
ცეცხლის მგზებარე თვალებით—  
მინ გვითხრას შენებრ შაირი,  
მოგვნიბლოს ციურ ძალებით?!

ჯერ კიდევ ხალხის დვიძების,  
ბამოფნიზღების ქამია,—  
და ვაი, რომე აღარ გვეყავს  
სიტყვით მნიბლავი მამია!»

✱

ღ ვ თ ი ს ს ა მ ა რ თ ა ლ ი .

(რუსულიდან).

(დასასრული \*).

ხალხი ხედავს, რომ მათ სოფელში არაფრის  
შქონე კაცი მდიდრდება. ხელვენ, რომ უკანასკნელი  
ღარიბი ოჯახობა შეიქმნა მდიდარი. დრო იყო, რომ

\*) ახ. «მწეხისა»-ს № 13.

ბაკში არაფერ ოთხფერ პირუტყვს არ გაუჭაჭანებია ჯ  
ბელელში მარცვალი პურიც არ იყო და ახლა კი, ასე  
უცხად გაჩინა მან ცხენებიც, ძროხებიც და სხვა  
შინაური ცხოველებიც, პურიც საყოფად აქვს, ბავ-  
შეებს აღარც შიათ და აღარც ცივათ. მართი სიტყ-  
ვით სახლი დოკლათით აივსო.

იწყო ხალხმა ლაპარაკი: საიღამ შოვობს ამდენ  
სიმდიდრეს მაქსიმეს შვილი. რიგი ამბობდა, რომ  
ლამდამით ცეცხლის გველი ბუხარში უყრის პოტავს  
ოქროს და ვერცხლსო, რიგი, ვინ იცის, კიდევ რას  
და ზოგი კიდევ მიხვდა, რომ ეს უთუოდ ჩვენი მაქ-  
სიმეს მანქანებააო. მამა პეტრეც ხედავდა ამას და  
საშინლად კვირობდა.

მს უსათუოდ მაქსიმეს წყალობაა, ფიქრობდა  
ისიც, თვითონ პოტავი არაფერი მუშა არ არის და  
მაქსიმე კი საიდან უნდა შოვობდეს ფულებს! ნუ  
თუ ის ყოველთვის სისწორით მოქმედებდა.

მამა პეტრემ მოიხმო ერთხელ მაქსიმე, როცა  
ის შინ მობრუნდა და გამოჰკითხა. ასე და ასე ლა-  
პარაკობს შენზედ ხალხი და, თუ ეს მართალია, ძრიელ  
ცუდია!! ძრიელ საძნელო იყო მაქსიმესთვის მოხუ-  
ცებულობის დროს ამისთანა სირცხვილის ატანა. მან  
ეს ცოდვაც იკისრა და მოჰყვა ათასწაირ ფიცს, რომ  
მე ამ საქმეში წმიდა ვარო და ხალხი მხოლოდ სი-  
ხარბით ავრცელებს ჩემზე ასეთ "ხმებსო. რა უნდა  
ექნა მამა პეტრეს, მაქსიმე პატიოსან კაცად იყო  
ცნობილი და დაუჯერებლობა თითქმის შეუძლებელ-  
ლიც იყო, მაგრამ მეორეს მხრით არც ხალხის ლა-  
პარაკი იყო უსაფუძვლო. მღვდელმა იფიქრა, იფიქ-  
რა და გადაწყვიტა, რომ ეს საქმე მაქსიმეს სინჯის  
და ღვთის სამართალს მიანდოს.

და მართლაც ღმერთმა არ დასტოვა მაქსიმე  
გაუსამართლებელი: მაქსიმეს ტყუილი ფიცის შემდეგ  
სულ არ გასულა რამდენიმე დღე, რომ ის საშინელი  
ავად-მყოფი შეიქმნა. შვილი და რძალი დასტრიალ-  
დენ ავად-მყოფს თავზედ, ექიმიც მოიწვიეს, წამ-  
ლებისთვის ფულს არ ზოგავდენ, მაგრამ მაქსიმეს  
მაინც ვერაფერი უშველეს.

— „უსათუოდ სიკვდილი მომელის, ეუბნებოდა  
მაქსიმე შვილს“. «ნუ გეშინიან, მამაე», ანუ გეშებდა  
შვილი მაქსიმეს, მაგრამ თვითონაც კი არა ჰქონდა  
მამის მორჩენის იმედი. «ძრა, მე ამ ქვეყანას აღარ  
ვეკუთვნი, ამბობდა მაქსიმე, რადგან კარგად გრძობ-  
და სიკვდილის მოახლოებას, დროა მოიხმო მღვდ-

ლი და მივიღო წმ. საიდუმლო ზიარება. წადი მღვდელთან». «წასვლა ადვილია, დაეთანხმა შეილა, როგორც უნდა იყოს ქრისტიანული წესი უნდა აღვასრულო. მაქსიმემ მიძიმედ ამოიოხრა. მას მოაგონდა, თუ როგორ უნდა უთხრას მღვდელს აღსარების დროს ის, რაც სტანჯავდა მის სინდისს, ის ხომ ამას წინედ ეფიცებოდა მღვდელს და უარს ყოფდა თავის დანაშაულობას. როგორღა უნდა შეხედოს მან მღვდელს თვალეზში? მურდი, ფიცის გამტეხი! სანამდის მიიხწია მაქსიმემ, რომელიც პატიოსან და სანდო კაცად ითვლებოდა. რომელსაც მთელი სოფელი ემდობოდა. მსთქვით, მას ქურდობა არა სურდა. ლმერთი ხედავდა, რომ მაქსიმე ყოველ დღეს თავის ვალზედ ჰფიქრობდა. ღა სცდილობდა მალე გავსტუმრებინა მის შეილს. ლმერთმა იცოდა, რომ მას თავისთვის არ მიჰქონდა ფულები. რადგანაც მისთვის საჭირო არაფერი იყო. მაქსიმეს გული სტკიოდა თავის შეილებზედ და თავის პატარა შეილის-შვილებზედ, ეცოდებოდა ისინი და უნდოდა მათი შევლა, მაგრამ, როგორ უნდა გაემხილა ეს ხალხისთვის! ან ვინ დაუჯერებდა მასს ამებს? ამასთან ის ტყუილა ფიცულობდა... ბანა არ ეტყოდა მღვდელი: თუ შენ მართალი იყავი, რატომ მაშინვე დაუშალავად არ მითხარი, თუ საეკლესიო ფულების გალაღება არ გინდოდა?!...

შოველივე ეს მოიფიქრა მაქსიმემ და წარმოიდგინა მთელი თავის ცუდი საქციელი და სირცხვილი გამხვდისა. ამავე დროს მის გულში გაიელვა კაცობრიულმა სიამპარტანემ.

— «მერა, ამებს ვერ ვეტყვი აღსარების დროს მამა პეტრეს. ამას საიდუმლოდ მოეინანებ ჩემთვის და შევეცდრები ლმერთს ამის პატივებს, ეს ხომ სულ ერთი იქნება. ლმერთი ყველაფერს ხედავს.. ის მაპატივებს... მაქსიმემ მოიხმო შეილი და გამოუცხადა: «მე, შეილა, უკვე გადავწყვიტე, რომ აღსარებაში არაფერი არა ვსთქვა ის, რაც მე და შენ ვიცით. მრცხენიან; მაგრამ იცოდე, რომ შენ უსათუოდ უნდა გაისტუმრო ის ფულები, რაც ყულაბილამ წამოვიღეთ, უიმისოდ მე ლმერთი არას შემინდობს და დამსჯის».

— «ძრიელ კარგი, მამავ, უთხრა პოტაპმა, გავისტუმრებ, არ დავიწყებ». მიიწვიეს მღვდელი, სთქვა მაქსიმემ აღსარება. მზიარა წმ. საიდუმლოთი, მღვდელმაც დალოცა და გასწია.

რამოდენიმე დღე გავიდა და პოტაპი ბურჩენკო ხელახლად მიადგა მღვდელს.

— რას იტყვი? მოკვდა განა მაქსიმე? ჰკითხა მღვდელმა პოტაპს.

— «არა, მამაო, არ მომკვდარა, უბასუხა პოტაპმა. შოველს წამს ფეიქრობთ და ველით მის სიკვდილს, მაგრამ არ კვდება. რამდენჯერ ხელებიც დაუკრიფეთ, სამთლებიც აუნთეთ... წვალობს, წვალობს და კი არ კვდება. ხრიალებს, ხან სულ ცივდება, თვალები დაეკარგვის. აი, ეს არის სულს ჩააბარებს... მაგრამ არა, იწვალებს, იწვალებს, შემდეგ მოიხედავს და ცოტა ხნის შემდეგ კიდევ წამოუყლის და არა აქვს დასასრული მის ტანჯვა-წვალებას... თითონაც ძრიელ იტანჯება და ჩვენც მისი შემაცქერალნი... მუჭივართ დღე და ღამ და ვუცქვრით მის დაუსრულებელს ტანჯვას.. «რამდენჯერ ლმერთსაც ვსთხოვეთ, მიგლო მისი სული, მაგრამ არა, არ ღებულობს... ისიც ვხეწვება... ახლა თქვენთან კამომგზავნა, რომ თქვენ, მამაო, წაუკითხოთ სულთაბრძოლის ღოცვა და ეცება ლმერთმა განათავისუფლოს ამ საშინელი ტანჯვისაგან».

მამა პეტრემ აიღო კურთხევა და გასწია მაქსიმესთან. იმ დროს მივიდა, როცა მაქსიმე საშინლად იტანჯებოდა. მღვდელმა დაუყონებლივ გადააფარა მაქსიმეს ოლარი და წაუკითხა ღოცვა. მაქსიმეს ამის შემდეგ ცოტა შეღავათა მიეცა, მოვიდა იგი გონზედ და ეუბნება მღვდელს: ვიცი, მამაო, რისთვისაც მიწყრება ლმერთი და არა სურს ჩემი სულის მიბარება. დიდი ცოდვილი ვარ მე, ქურდი ვარ, მამაო, და ფიცის გამტეხი; ვტყუოდი თქვენ წინაშე, როდესაც თქვენ შეკითხებოდით მე... შელარ გვაგამხილე... სირცხვილისა მეშინოდა... მაგრამ ეხლა ვხედავ, რომ სულ ყველაფერში უნდა გამოგიტყდე... დაუსრულებელია ჩემი ტანჯვა. სწორედ მართალია ის, რასაც ჩემზედ ხალხი ამბობდა... მე სწორედ ვიღებდი ფულს ყულაბილამ... აი, ეს ჩვენი წისკილი ამ ფულით არის შეძენილი. ჭ თქვენ, მამაო, გაჰყიდეთ და ფულები საეკლესიოდ შერაცხეთ. ზესმის, შეილა, რასაც ვამბობ?... დაბრკოლება აღარ იყოს შენიდამ. რამოდენიმე კაცს მოწმად დაუძახა, ყველამ გაიგოს, რომ მე დიდი ცოდვილი ვარ... მინდა მოეინანო»...

მს სიტყვები, რომ პოტაპმა გაიგონა, მისთანა თქვენს მტერს, ის შეწუხდა. მივარდა და შევედრა მამას: «მამავ... მშობელო... რას გვიშვრები. ბელუ-



პაე?! არ გეპრალებით?... შამშილოთ გინდა დაგვხა-  
ცო?!.. სამწუხაროდ ის არ გვეყავა, რომ შენი  
მხრუნველობა გეაკლდება?!.. რაწაიხად მოვითმინოთ  
შიმშილი!»...

ჩაღმაც დაიწყო წმუტნი და ტირილი, ანათ  
ღამნახემე პატარაებმაც ვაბეს ტირალი.

მაქსიმეს შეებრაღა ისინი, უნღაღა სულ ყვე-  
ლაფერში გამოტყდომოღა მღედელს, მაგრამ შეჩერ-  
ღა. იქნებ იმისთვისაც შემიბრაღოს ლმერთმა, ფიქ-  
რობღა იგი. ღარჩეს ცოტა რამ შეიღსაც გასამღიდ-  
რებღად. ის ხომ გაისტუკრებს.

ამასობაში მღედელმა მოიყვანა მოწებები და  
ღასწერა მაქსიმეს ანღერძი და სანუკემოღ უთხრა:

— «მაქსიმე, შენ სწორედ კეთილი კაცი ყო-  
ფიღხარ, რადღან ლმერთს არ ნღომიღა შენი დაღუბვა,  
და ამიტომ მოუტოღა მას, ყოველად სახიერს, შენთვის  
ღრო მოწანებისა, რათა მის წინ გამართლებული  
წარსღგე».

მახელით მოხედენ მაქსიმეს გულს ეს სიტყ-  
ყები. არც ახღა იყო ის დარწმუნებული თავის სი-  
წმიღეში. მიმედ და მწუხარედ ამოიღხრა მან. ღა-  
ხუჭა თვალები, რომ კაცის სახე არ დაენახა და და-  
ნარჩენიც ეთქვა; მაგრამ მიინც ძლიერიღა მშობღური  
სიყვარული. ამ გაჭირვების წამშიაც შეიცოღა მან  
შეიღი.

მღედელს ეგონა, რომ მაქსიმეს დაეძნაღა, და  
ამიტომ ფრთხილად გაეიღა მოწმებიანათ, დარჩა  
მხოლოდ პოტაპი სარეცელთან. მაქსიმემ გაახიღა  
თვალები და უთხრა შეიღს: «კიღევ დიღი ცოღვა  
აეიკიღე მე ღღეს სულ შენი გუღისთვის, შეიღო,  
მე მწაღღა ღღეს ყოველიფერი ცოღვა შექმენანა  
მღედღის წინაშე, მაგრამ შენ შექაჩერე, იცოღვე,  
რომ ჩემი ცოღვა არის შენიც და მენს ხელშიღა ჩემი  
სუღის დაღუბვა და ცხონებაც, როგორც კი ცოტად  
მომჯობინღე, მაშინვე მიიტანე ფულები ეკკღესიაში.  
მე არა ეფიქრობ, რომ შენ სიკეთისთვის ჩემი და-  
ღუბვა მოინღომო... ხომ მასცემ?»...

— «მათქვამს, მიეცემ მეთქი და კიღევ ეამბობ,  
რომ მიეცემ, ამახედ სოულიად დაიქედებღული იყავო»,  
უბასუხა პოტაპმა.

ამას კი ეუბნებღა პოტაპი, მაგრამ გულში კი  
ფიქრობს: «ვღი თუ კიღევ განიზღახოს მამამ დანარ-  
ჩენის თქმაცა? ნეტამც მალე მოკვდებოღეს! — ძალიან  
ენანებოღა მას თავის სიმღიდღრის შეღევღა.

მაქსიმე მიინც არ მოკვღა. ორი ღღე და ღამე  
გაეიღა ლოცვის წაკითხვის შემღდე, მაგრამ მისი  
ტანჯეღა მიინც არ შემწყღარღა. ხანღისხან მაქსიმე მო-  
ფიღღაღა ხოღმე გონზედ. თითქო ლმერთი განძღახ  
აძღევღა მას მოწანების ღროს. ტანჯეღა მას ხელახ-  
ღად წამოუფღიღა ხოღმე.

«ღრა, არ შემიღღიღა მე აძღენის მოთქენა. აპ-  
ბობს მაქსიმე და თან საშიწელი ტანჯეღით გოროგს

ლოგინში. სჩანს, რომ, ლმერთი არ მიიღებს ჩემს  
სულს, ვინემ არ გავსწმენდ ცოღვისაგან. წაღი, შეი-  
ლო, მღედელთან».

— «ძარგი, წაღვღ, უთხრა პოტაპმა და კი არ  
ჩქარობს, რომ შესარუღოს მამის ბრძანებღა. იქნებ  
უფისოღაც გარღიცვავღოს», ფიქრობს პოტაპი. ღა  
ამასობაში მაქსიმეს საშიწლად აეშაღა სატყვიარი,  
ღრო გაღის და საწყალს კი არა ეშვეღა რღ.

ისე მოხღა, რომ მღედელი თავის-თავად მოვიღა  
მაქსიმეს ამბის შესატყობღად.


— «ღიღი მაღღობელი ვარ, რომ მოახვეღით,  
უთხრა მაქსიმემ მღედელს ღიღის გაჭირვებით, მე  
ღაღი ხანიღა, თქვენთან შეიღი გამოეგზავენ, ეიყუ-  
რებოღდი და არ მოხვეღით, სწორედ ვებრაღები მე  
ღმერთს და არღა სურს მიიღოს შეუწანებელი, ცოღ-  
ვიღი ჩემი სული; ისმინეთ, ახღა გეტყვი მე ჩემს  
ნამღეღის და სრულს აღსარებღს:

— «მაშინ მე სულ ყვეღაფერი ევღარ მოგახსე-  
ნეთ, შეიღი შეეიბრაღე, მაგრამ მე მას არ ვებრა-  
ღები; ვებგეწე, ეებგეწე და თქვენთანაც ვერ გამო-  
ვიგზავენ... მშიაიან თავის, არღა კეთილად შეძენიღი  
საცხოვრებღის დაკარგვისა... მე ახღა თეითონ ებე-  
ღაღე, რომ ღიღად შემცღარი ვარ ამაში... თუ ის  
ამისთანა არის, რასაკვირველიღა, არღს ღროს არ  
გარღახღის ეკკღესიის ვაღს... უკეთესი იქნებღა მევე  
გარღავიხაღო ეს ვაღი... ღაუბახეთ კიღევ მოწმებს...  
ახღა მე ყვეღაფერს განვაცხადებ... სკები ნაყიღიღა  
საეკკღესიო ფულით, ამ ჩემი სახღის აღკიღიც, ამ  
პირღაპირ აღკიღიღა, ისიც. მსენი არც ერთი არ არის  
ჩვენი, საეკკღესიოღა».

სოქეღ თუ არღ ესე მაქსიმემ, ხელახღად დაიწ-  
ყო საშიწელი ხრიღლი. საშიწრად დააწყებინა თვღ-  
ლებს ტრიღლი. თითქო ხეღავს თავის წინ ბნელს,  
მუქარღ მოჩვენებღსო. საწყალს ციგმა ოფღმაც და-  
ახა შუბღხედ. პირიღამ ქაფი წამოუფიღა. მამღ პე-  
ტრემ დაიწყო ლოცვღა და სახავღა ჯვარს. მომაკვღავი  
ერთს წამს კიღევ მოვიღა გონზედ.

— «მამო, კიღევ სულ არ გამითავებღიღა ჩემი  
აღსარებღა, სოქეღ მან, წაღები ღამაეიწყღენ... ახღე-  
ბიღა... აი, კუთხენში რომ ჰკიღიღა... წაღეთ... მსეც  
საეკკღესიოღა... ახღა კი ყვეღაფერს მოვრჩი... ლმერ-  
თი ღამშეიღღებს ჩემს სულს».....

სოქეღ თუ არღ ეს, ამოიღხრა და ჩაბზარღა ლმერთს  
სული. წქნარღმა და მშეიღმა ღიმიღმა უცებ გაიღღეღა  
მის გამხმარ და მკვღარ სახზედ და იმ ღიმიღში  
ყვეღა ხეღვიღა, რომ მაქსიმემ სწორედ მიიღო გან-  
სვენებღა ცათა შინა და ხსნღ ცოღდებისაგან.



# ახალი ამბები და შენიშვნები.

ამერიკიდან ეპისკოპოსი კლადიმერი ატონებს უწმიდესს სინოდს, რომ იქ ამ ცოტა ხანში მიიღებს მართლ-მადიდებელ საწმინტოსას 20,000 სული კათოლიკე აღსაჩებისა. ამის გამო სინოდში ამ მოკლე ხანში მოხდება საჩქარო კრება სინოდის წევრთა.

\* \*

29 ამა ივლისს, დამით დაუტენენ ავასაგები სოფელს ქვიტირშია ზ. ასათიანს. სახლის უფროსი ასათიანი მოჭკლეს და სახლი გატარტყეს და წვიდნენ. ამავე დამესკს ავასაგები ქვიტირშივე ერთ მდურქნეს მიუსდენ, გატარტყეს, დასტყეს, მერე იქიფეს იქვე და ახსეინად გაკმზავენ.

\* \*

ამბობენ, რომ ამიერიდან საზოგადოებისაგან განტემულნი ზინნი არ იქმნებიან ტიბირში გაგზავნილნი, არამედ იმათ თავისავე გუბერნიასში საზოგადო სამუშეგარსედ დაყენებენ სამუშეგად.

\* \*

ამა დეკ. ი. ნუმოვიჩი ამა თთვის 28 ჩამოვიდა ქუთაისში. მერე დღეს დათვალეჭა ქუთაისი ერთად დეკ. დ. დამბაშიძესთან, ნასა გელათის მონასტერი და 30 ბათუმისკენ გაემგზავრა, ბათუმიდან კიევში მიემგზავრება. მ. ნუმოვიჩი აფხაზეთში კარგა ხანობით დაჩენილას ამას წინად და თითქმის ყველა ადგილები დაუოკალიერება. იგი ძლიერ სწუსს, რომ აფხაზეთის მშენიერი ადგილები ასე გაკერნებულად არის გაშეკებული.

\* \*

«Новое Обозрѣніе» უკვე გაიყიდა და დღეს იმას იმართავს ახალი რედაქცია. გაზეთს თუქმე თავის გადია ილია ხონელი ახალ ბინაზე აღარ გადაუყვანია, დაუთხოვნიდა და შინისკენ გაუსტუმრებია სონში. ხონელს «სასულიერო მოამბის» თანამშრომლობა უთსოვნიდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, აქაც უარი უყვიათ. ამბობენ, რომ თუ ხონელმა როგორმე ვერ მოახერხა სონის ერთ-ერთ ეკკლესიაში დატლილს ადგილზედ შესება, — უსათუოდ ზოლიციის ნაწილში აზიკებს სამსახურსო.

\* \*

საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის მიწერილობაზე «სასულიერო მოამბის» ყველა ეკკლესიებისაგან გამოწერის შესახებ თითქმის ყველა ბლაღონინებს მოუხსენებიათ მიწეში ზოგიერთი ღარიბი ეკკლესიებისაგან ამ გაზეთის გამოუწერლობისა. ყველა ეკკლესიებს არა აქვს საშუალება, რომ თავის მიუცილებელი ხარჯი დაუაროს და ამიტომ არ შეიძლება ყველა ეკკლესიაში გამოიწეროსო ურხანდი, — ამბობენ ბლაღონინები. სინოდის კანტორა, როგორც გავიკეთ, ახლ მიწერილობას ამზადებს ბლაღონინებზედ, ღარიბი ეკკლესიები ამ გადასახადისგან გასათავისუფლონ. ჩვეინის აზრით, ეს განკარგულება საჭირო არ იყო, რადგან სინოდის უქაში ამ გაზეთის გამოწერის შესახებ ცხადად იყო ნათქვამი, რომ ღარიბ ეკკლესიებს მუქთანდ გაკზავნიანო. ამას ამტკიცებდა მალაყოვლად სამღვდელს ექსარხოსის პლლადის მოხსენება და აზრი.

\* \*

თეკლათის დედათა მონასტრის წინამძღვრის ბთანასისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდად:

«მამო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძო, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა ეუძღვნა ჭუთაისში მცხოვრებს ნადეველა წერეთლის ასულს ზუბოვისას, რომელმანც ჩემდამო რწმუნებულს მონასტერს შესწირა კანკელი, ღირებული 100 მანეთად და მნტოფას მცხოვრებს აზ. ბლანუა ჭენიას მეუღლას პუბი შავლიას ასულს, რომელმანც შემოსწირა ამავე მონასტერს 60 მანეთი ფული.

## შეცდომის გასწორება.

«მწყემი»-ს მე 13 №-ში, მეცხრე გვერდზედ დაბეჭდილია: «უმიკაშვილი», უნდა იყოს: «მტკარკალიშვილი».

შინაარსი: ოფიციალური ნაწილი: საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის განკარგულება. — არა ოფიციალური ნაწილი: დიდი მნიშვნელობა და უაღრესობა მღვდელობის წოდებისა. — ზასუსი ქართლსისძეს. — მამის დაჯივის ძე ვარდანიძე — გუჩიელი. — ღვთის სამართალი. — ახალი ამბები და შენიშვნები.